სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

09863682600420

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200231547

რეგისტრაციის თარიღი

04.03.2020 წ

ნოტარიუსი: ნინო ფერაძე
მისამართი: ქ.ზესტაფონი.წერეთლის ქ.#8
ტელეფონი: 0492251084, მობ.599492485

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცი წლის ოთხ მარტს მე ნოტარიუსს ნინო ფერაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე : ქ ზესტაფონი, წერეთლის ქ.№8 პირველი სართული მომმართა შპს "დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №405252710, იურიდიული მისამართი ქალაქი თბილისი, ისნის რაიონი, მარტყოფის შესახვევი #15) დირექტორმა და 100%-იანი წილის მფლობელმა პარტნიორმა **ნიტა სალაძემ**, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **დავით ცირეკიძეს**. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ნიტა სალაძემ** დაბადებული 01.02.1998 წელს, თბილისში, პირადი №01024089547, რეგისტრირებული მისამართი ქალაქი თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა #4, ბინა 16, მომმართა. მე შევამოწმე **ნიტა სალაძის** ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე შევამოწმე **ნიტა სალაძის** უფლებამოსილება, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს "დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია" თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან მომზადების თარიღი 04/03/2020 წელს, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B20022675. მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი. შემდეგ შევადგინე მინდობილობა. **ნიტა სალაძემ** წაიკითხა მინდობილობა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მას.

მინდობილობა

ორი ათას ოცი წლის ოთხ მარტს შპს **"დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №405252710, იურიდიული მისამართი ქალაქი თბილისი, ისნის რაიონი, მარტყოფის შესახვევი #15) დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი **ნიტა სალაძე**, რომელიც ამ მინდობილობაში შემდეგში მოხსენიებულია როგორც "მიმნდობი" **დავით ცირეკიძე** დაბადებული 24.06.1981 წელს, პირადი №01011028216, რეგისტრირებული მისამართი ქალაქი თბილისი, მარტყოფის შესახვევი #15, რომელიც ამ მინდობილობაში შემდეგში მოხსენიებულია როგორც "მინდობილი პირი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. იყოს ჩემი, როგორც **შპს "დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №405252710) დირექტორის წარმომადგენელი, ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საზოგადოების დირექტორს კანონით და საზოგადოების წესდებით და აწარმოოს საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება, აწარმოოს მოლაპარაკება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დადოს მათთან კანონით გათვალისწინებული ყველა სახის გარიგება დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი მოაწეროს დადებულ ხელშეკრულებებს, შეიტანოს მათში ცვლილებები და გააუქმოს ისინი.
2. აგრეთვე იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერ საბაჟოზე/გაფორმების ეკონომიკურ ზონაში/ საქართველოს ტერიტორიაზე და მიიღოს აღნიშნული საზოგადოების სახელზე შემოსული ნებისმიერი სახის ტვირთი, საჭიროებისამებრ გახსნას კონტეინერი, გამოიტანოს მიღებული ტვირთი, მოახდინოს მისი ტრანსპორტირება ნებისმიერი მიმართულებით დანიშნულების ადგილამდე
3. ასევე იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ურთიერთობაში, ყოველგვარი საბაჟო, სატერმინალო და საბროკერო მომსახურების შესრულების უფლებით, აწარმოოს საბაჟო დეკლარირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება (საბაჟო დეკლარაციის აღება, საბაჟო გადასახადების გადახდა და სხვა პროცედურების შესრულება, მიიღოს და ხელი მოაწეროს კონოსამენტებს, ინვოისებს, მიღება ჩაბარების აქტებს და სხვა
4. ასევე წარმოადგინოს საზოგადოების კანონიერი ინტერესები, მიიღოს მონაწილეობა ტენდერებში, საზოგადოების სახელით დადოს ხელშეკრულებები, გარიგებები, განსაზღვროს გარიგების ფასი და პირობები, აიღოს თანხა, მოახდინოს რეგისტრაცია, წარადგინოს დეკლარაციები საგადასახადოში, ზედნადებები, შეასწოროს ნებისმიერი ხარვეზი, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად საჭირო დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს, კრების ოქმებს, გადაწყვეტილებებს და შეასრულოს ყველა მოქმედება , რაც იქნება დაკავშირებული აღნიშნული დავალებების შესასრულებლად
5. იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ყველა კომპეტენტურ ორგანოებში, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მეწარმეთა და

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრში, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმიერ სამინისტროში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანოებში, სსიპ "სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში", მერიაში, მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურებში, ადმინისტრაციულ და მუნიციპალურ ორგანოებში, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, (ანგარიშვალდებულებების შესრულების უფლებით) ჩააბაროს საზოგადოების სახელით ნებისმიერი სახის განცხადება, ცნობა დუბლიკატი, თანხმობა ან სხვა დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ხელზე პასუხი, წერილი, მიმართვა და ა. შ. წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების კანონიერი ინტერესები.

6. ასევე იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერ ბანკში, მის ნებისმიერ ფილიალსა და სერვისცენტრებში, მართოს და განკარგოს საზოგადოების სახელზე გახსნილი ნებისმიერი ანგარიში(ანაბარი), ასევე გახსნას ახალი ანგარიში და მართოს და განკარგოს ისინი, ამისთვის შესარულოს ნებისმიერი საბანკო-საფინანსო ოპერაცია(ფულადი თანხების შეტანის, გამოტანის, ჩარიცხვის, გადარიცხვის, კონვერტირების განაღდების, ახალი ანგარიშის გახსნის და ანგარიშის დახურვის უფლებით); შეუზღუდავად მიიღოს გამოიყენოს და ისარგებლოს ონლაინ პროდუქტებით. მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერ ბანკში, საკრედიტო პროდუქტების აღების და გამოყენების უფლებით, სესხის(კრედიტის) აღების უფლებით, სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ქონების ჰიპოთეკით დატვირთვის უფლებით, დადოს ბანკთან შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ შორის ხელი მოაწეროს სასესხო, საკრედიტო თავდებობის, ოვერდრაფტის და სხვა შესაბამის ხელშეკრულებას(თანხა, ვადა და სხვა პირობები განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ) მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ამონაწერები ანგარიშებიდან, ნებისმიერი საბანკო ცნობა(მათ შორის დავალიანების არ არსებობის შესახებ) და ნებისმიერი სახის სხვა ინფორმაცია, დაამზადოს და მიიღოს პლასტიკური ბარათი, დაკარგვის შემთხვევაში აღადგინოს და ისარგებლოს ინტერნეტ ბანკით

7. დაიცვას საზოგადოების ქონებრივი და/ან არაქონებრივი ინტერესები. საჭიროების შემთხვევაში ყველა ინსტანციის სასამართლოში აწარმოოს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები, იყოს წარმომადგენელი და აწარმოოს საქმე არბიტრაჟში. რწმუნებულს აქვს ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც მხარეს (ან მესამე პირს) მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, მათ შორის, შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი (შესაგებელი, შეგებებული სარჩელი, კერძო საჩივარი) სასამართლოში (ან არბიტრაჟში), გადაიხადოს სასამართლო ბაჟი, მოითხოვოს და მიიღოს/დაიბრუნოს გადახდილი ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს შეპასუხება და მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ, ან მთლიანად სცნოს სარჩელი, გამოიხმოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება); შეიტანოს საჩივარი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, აწარმოონ საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში; შეცვალოს სარჩელის (შეგებებული სარჩელის) საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა; ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით. შეასრულოს ყველა მოქმედება სასამართლოს გადაწყვეტილების და/ან გადახდის ბრძანების აღსრულებისათვის. იყოს საზოგადოების წარმომადგენელი სააღსრულებო საქმის წარმოებისას, სააღსრულებო ფურცლის მიღების, წარდგენის და აღსრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი უფლებით; წარმოადგინოს საზოგადოება ყველა სახელმწიფო ორგანოში, შესაბამის სამსახურებში, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროში, პროკურატურაში, იუსტიციის სახლში (მის ნებისმიერ სამსახურში), სსგს სამოქალაქო რეესტრის სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ნოტარიუსთან ურთიერთობისას, ნოტარიუსთა პალატაში, კერძო არბიტრაჟში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, კერძო სააღსრულებო ბიუროში, აუქციონზე, ფიზ. და იურიდიულ პირებთან და სხვა;

8.აღნიშნული დავალებების განხორციელების მიზნით გადაიხადოს და/ან დაიბრუნოს დაწესებული გადასახადები, ჩააბაროს და/ან მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია და/ან დოკუმენტი და ხელი მოაწეროს მათ.

9. თავისი შეხედულებისამებრ მართოს და განკარგოს **შპს "დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია"**-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №405252710) ჩემი კუთვნილი 100%-იანი წილი. მინდობილი პირი უფლებამოსილია გაასხვისოს, დათმოს, გადაიფორმოს თავის თავზე (დადოს საკუთარ თავთან გარიგება) აღნიშნული წილი, ან გადაუფრომოს მესამე პირებს, დააგირაოს, ამასთან დაკავშირებით დაესწროს

საზოგადოების კრებებს, მიიღოს ჩემი სახელით გადაწყვეტილებები დღის წესრიგით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის წილის გასხვისების (დათმობის) საკითხს, ჰქონდეს ხმის უფლება, ხელი მოაწეროს პარტნიორთა კრების ოქმებს, გადაწყვეტილებებს, წილის ყიდვა-გაყიდვის, დათმობის, გირავნობის ხელშეკრულებებს, წესდების ახალ რედაქციას და სხვა საჭირო დოკუმენტებს, განცხადებებს, განაცხადებს; უფლებამოსილია მოხსნას ყადაღა/გირავნობა; განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და წესდებით გათვალისწინებული უფლებები. მინდობილი პირი უფლებამოსილია განკარგოს კომპანიის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონება: გაასხვისოს, დააგირაოს, გააქირაოს, გასცეს იჯარით, დატვირთოს იპოთეკით, აღნიშნული დავალებების შესასრულებლად იგი უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებში, , ნებისმიერ საბანკო დაწესებულებებში, თავისი შეხედულებისამებრ დააგინოს მინდობილი საკუთრების გაყიდვის, დათმობის პირობები და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს. მინდობილი პირი უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი თანხა, რაც დაკავშირებულია მინდობილი საკუთრების მართვისა და განკარგვის უფლების რეალიზაციასთან. ამასთანავე მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია საკუთრების მიმნდობის სახელით შეკრიბოს ყველა ის ცნობა და დოკუმენტი, რაც საჭიროა მინდობილი საკუთრების მართვისა და განკარგვისათვის, მინდობილი საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული ხელსეკრულებების რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრში, სამეწარმეო რეესტრში, შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა პროცედურა და მოქმედება, რაც საჭიროა მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე

მინდობილობა გაცემულია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარბუსს ნინო ფერაძის არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლიარს, რომელიც ინახება ნოტარიუს ნინო ფერაძის არქივში, თან ერთვის დანართი ერთი დოკუმენტი:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან მომზადების თარიღი 04/03/2020 წელს, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B20022675.

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 20 ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011 წელი #507) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 39-ე მუხლებისა და დღგ 3 ლარი და 60 თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა სულ 25 ლარი და 60 თეთრი

1. [illegible]

2. [illegible]

ნოტარიუსი [illegible] /ნ. ფერაძე/